

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია დონორის მოპოვების შეზღუდული არეალი, რაც ხელს უშლის ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, მძიმე ავადმყოფოსაგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეფერხების ან ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სამედიცინო საქმიანობის ეფექტურ წარმართვას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის მიზანია რეციპიენტის სიცოცხლის შენარჩუნება, მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნება, დაავადების პროგრესირების შეჩერება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, დონორის არეალის გაფართოების გზით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის მიხედვით დონორი, რეციპიენტის გენეტიკური ნათესავი ან მეუღლე უნდა იყოს. შემოთავაზებული ცვლილებით დონორთა შესაძლო არეალს ემატება მეუღლის გენეტიკური ნათესავები, როდესაც ქორწინების რეგისტრაციის ვადა შეადგენს არანაკლებ 1 წელს. აღნიშნული ერთობ მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის, განკურნების, დაავადების პროგრესირების შეფერხების ან ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სამედიცინო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ საჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირობებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი ოთარ თოიძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.